დიდი აკადემიკოსის ხსოვნას

განსვენებული აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილის სახით ქართულმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ დაკარგა ერთერთი დიდი მოამაგე და სულისჩამდგმელი, თბილისის უნივერსიტეტმა— თავისი ერთერთი ფუძემდებელი, განახლებულმა საშშობლომ — მგზნებარე პატრიოტი და გულშემატკივარი შვილი.

საქართველოს ისტორიის შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე ივანე ჯავახიშვილმა დაიყენა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავისი მეცნიერული მოღვაწეობა მან გაიმოიტანა საქართველოში, სადაც მისი თაოსნობით მეცადინეობით საფუძველი ჩაეყარა ჩვენი კულტურული აღორძინების ეპოქას — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

საშშობლო ქვეყნის წარსულის მკვლევარს, რომელსაც გულს უკლავდა მისი დაკნინების დღეები, წილად ხვდა საკუთარი თვალით დაენახა მისი აღდგენა და აყვავება, და არა მარტო დაენახა, მონაწილეობაც მიეღო მისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში.

იგი ადრეულად წავიდა ჩვენგან, მაგრამ წავიდა იმ შეგნებით, რომ შეესრულდა ყველაფერი, რასაც ეტრფოდა, რისთვისაც იწვოდა.

ვისურვებთ, რომ ის, რაც განსვენებულს დაუმთავრებელი დარჩა, მის შეგირდებს დაემთავრებინოთ. ეს იქნება მისი სამარის საუკეთესო გვირგვინი.

პროფ. კ. კეკელიძე